



ეს საჯარო პოლიტიკის ნარკვევი ერთ-ერთია მწვანე ალტერნატივას მიერ მომზადებული ანალიტიკური ნაშრომებიდან, რომლებიც ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის აქტუალურ საკითხებს ეხება. მისი მიზანია წამოწიოს საჯარო პოლიტიკის კონკრეტულ სფეროში გადაუდებლად გადასაჭრელი საკითხები და ხელი შეუწყოს დისკუსიას ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური და სოციალური განვითარებისა და გარემოსდაცვითი მიზნების პარმონიულად მიღწევის გზებზე. წარმოდგენილი ნარკვევი განკუთვნილია იმ ორგანიზაციებისა და პირებისთვის, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებებს საქართველოს საჯარო პოლიტიკისა და მმართველობის საკითხებზე. ნაშრომი, ასევე, სასარგებლო იქნება მათთვის, ვინც ცდილობს ზეგავლენა მოახდინოს საქართველოს საჯარო პოლიტიკაზე, მისი გაუმჯობესების მიზნით.

„ნენსკრა ჰესის“ პროექტი და სადავო გარემოსდაცვითი საკითხები

ანოტაცია

საქართველოში დაგეგმილი ერთ-ერთი მასშტაბური - 280 მეგავატის სიმძლავრის ნენსკრა ჰესი, ამავდროულად, ერთ-ერთი ყველაზე წინააღმდეგობრივი პროექტია. განხორციელების შემთხვევაში, ის გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს მთისა და მდინარეების ეკოსისტემებს, მნიშვნელოვნად გააუარესებს საცხოვრებელ გარემოს და ეკონომიკურ პრობლემებს შეუქმნის სვანეთის მოსახლეობას. წლებია, პროექტს აპროტესტებს მკვიდრი მოსახლეობა. მის ფინანსურ რისკებზე სხვადასხვა დროს მიუთითებდნენ მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი. პროექტი მოულოდნელად დატოვა მთავარმა კონტრაქტორმა იტალიურმა სალინი იმრეჯოლომ; ხოლო მედიაში გაჟონილი იქამდე გასაიდუმლოებული მთავრობასა და პროექტის მშენებლებს შორის დადებული ხელშეკრულებიდან გაირკვა, რომ პროექტი ქვეყნის ბიუჯეტს 60 მილიონით აზარალებს ყოველწლიურად.

პროექტის დაგეგმვის, განხორციელებისა და დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილებები მიღებული იქნა კანონმდებლობით, პროცესში მონაწილე ინსტიტუციების პროცედურებითა და საუკეთესო პრაქტიკით დადგენილი წესების უხეში დარღვევით.

ნარკვევში აღწერილია პროექტის ირგვლივ წლების განმავლობაში დაშვებული და გამოვლენილი დარღვევები და მნიშვნელოვანი პრობლემები, რომლებიც მიგვაჩნია, რომ პროექტის განხორციელებაზე უარის თქმის მყარ საფუძველს ქმნიან.

ნენსკრა ჰესი - ინფორმაცია პროექტის შესახებ

ნენსკრა ჰესის იდეა პირველად გასული საუკუნის 80-იან წლებში ხუდონჰესის მშენებლობის პროექტის პარალელურად გაჩნდა. საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში შემუშავებული სხვა მასშტაბური პროექტების მსგავსად, ისიც გამოირჩეოდა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედებით.

პროექტის განხორციელების გადაწყვეტილება გაცილებით გვიან იქნა მიღებული და ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობის და კარგი პრაქტიკის პრინციპების უხეში დარღვევით. საზოგადოებამ ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის შესახებ 2012 წლის 14 აპრილს საქართველოს პრეზიდენტის პრესსპიკერის ბრიფინგიდან შეიტყო, რომელზეც ითქვა, რომ უახლოეს დღეებში დაიწყებოდა ჰესის მშენებლობა და სამშენებლო სამუშაოებს მიხეილ სააკაშვილი პირადად მოინახულებდა. საგულისხმოა, რომ პროექტს არ ჰქონდა გავლილი არცერთი ოფიციალური პროცედურა - არ ჰქონდა მშენებლობის ნებართვა, შესაბამისად, არ იყო ჩატარებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ეკოლოგიური ექსპერტიზა. მიუხედავად ამისა, მართლაც, 2012 წლის 23 აპრილს საქართველოს პრეზიდენტმა ხელი მოაწერა დოკუმენტს, რომლის თანახმად, მდინარე ნენსკრაზე ჰესის მშენებლობა უნდა დაწყებულიყო და პირველ სამუშაოებში მონაწილეობა, სიმბოლურად, თავადაც მიიღო¹. იმავე დღეს ცნობილი გახდა, რომ ნენსკრაჰესს, რომელშიც 630 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია ჩაიდებოდა, ჩინური კომპანია Sinohydro აშენებდა, ხოლო მის მართვას საქართველოს რკინიგზის შვილობილი კომპანია, სს „ნენსკრა“ განახორციელებდა².

პროექტი ითვალისწინებდა სეზონური რეგულირების, 300 მეგავატი სიმძლავრის ჰესის მშენებლობასა და ექსპლუატაციას. თავდაპირველად იგეგმებოდა მდ. ნენსკრაზე 210 მგვტ სიმძლავრის ჰესის მშენებლობა - 130 მ სიმაღლის ქვანაყარი კაშხალითა და 200 მლნ კუბური მეტრის წყლის რეზერვუარით (რეზერვუარის სარკის ფართობი 3.7 კმ²) სოფელ ტიტადან (ჭუბერის თემი) 10 კმ-ში; შემდეგ, კი მდ. ნაკრას წყლის 11.8 კმ სიგრძის სადერივაციო გვირაბის საშუალებით მდ. ნენსკრას ხეობაში გადაგდება და დამატებით 90 მგვტ სიმძლავრის გამომუშავება. ჰესის მშენებლობა 2017 წელს უნდა დასრულებულიყო. თუმცა, მოგვიანებით Sinohydro-სთან დადებული ხელშეკრულება შეწყდა და 2014 წლის დეკემბერში ის სამხრეთ კორეულმა K-Water-მა ჩაანაცვლა.

პროექტის განმახორციელებელის შეცვლასთან ერთად გარკვეული ცვლილებები შევიდა პროექტშიც. ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის 2015 წელს განახლებული პროექტით დაგეგმილია მდ. ნენსკრას ხეობაში 280 მვტ დადგმული სიმძლავრის, მაღალდაწნევიანი, სეზონური რეგულირების ჰესის მშენებლობა. პროექტი ითვალისწინებს მდ. ნენსკრაზე 135 მ სიმაღლის და 820მ სიგრძის ქვანაყარი კაშხლის მშენებლობას და 13მ სიმაღლის და 57მ სიგრძის დაბალზღურლიანი კაშხლის მშენებლობას მდინარე ნაკრაზე. მდ. ნაკრას ხეობიდან მდ. ნენსკრას ხეობაში წყლის გადასაგდებად კი, იგეგმება 12.4 კმ სიგრძის სადერივაციო

¹ საქართველოს პრეზიდენტი ნენსკრაჰესის მშენებლობის გახსნის ცერემონიალს დაესწრო, 23.04.2012

² 210 მეგავატი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა დაიწყო, სივილ ჯორჯია, თბილისი, 23 აპრ.'12

გვირახის მშენებლობა³. განახლებული პროექტის თანახმად, ჰესის მშენებლობა 2020 წელს უნდა დასრულებულიყო.

2019 წელს კომპანიამ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროექტში არაერთი მნიშვნელოვანი ცვლილებების გეგმა⁴ წარუდგინა. კერძოდ: კაშხლის ღერძის, სიმაღლისა და კონსტრუქციის ცვლილება; ეკოლოგიური ხარჯის გასატარებელი მილის დიამეტრის ცვლილება; ჰიდროსაინჟინერო კედლის სიღრმის გაზრდა; წყალგადასაშვები კაშხლის დიზაინის შეცვლა და წყალსაგდები ნაგებობის დამატება; ნაკრას კაშხალზე ორი რადიალური საკეტის დამატება; ნაკრას წყალგამტარი გვირაბის ჩამკეტი ფარის მოწყობა; ნაკრას წყალმიმღების და წყალგამტარი გვირაბის შესასვლელი პორტალის გადანაცვლება; ნაკრას წყალმიმღები გვირაბის დიამეტრის შემცირება; ნაკრას თევზსავალის ტიპის შეცვლა; ჰესის შენობის ცვლილება.

პროექტი ამჟამად შეჩერებულია.

პროექტის განმახორციელებელი - „ნენსკრა ჰიდრო“

ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის განხორციელებისათვის 2015 წლის 5 აგვისტოს დაარსდა სს „ნენსკრა ჰიდრო“ (ს/კ/405112220). კომპანიის აქციების 92.6% მფლობელია კორეის რესპუბლიკის მთავრობის მიერ დაარსებული კორპორაცია K-water, ხოლო აქციების 7.4%-ის მფლობელია სს „საქართველოს განვითარების ფონდი“ (12.09.2023-მდე სს „საპარტნიორო ფონდის“ სახელწოდებით) - საქართველოში დაარსებული სახელმწიფო კომპანია. ფონდი კომპანიის აქციონერი 2018 წელს გახდა.

პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული ხელშეკრულებები

„ნენსკრა ჰიდროს“ 2023 წლის ფინანსური ანგარიშგების თანახმად, კომპანია პროექტს ახორციელებს 2015 წლის 31 აგვისტოს დადებული შემდეგი ხელშეკრულებების ფარგლებში (2017 წლის შესწორებით):

- კომპანიას, საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს (ესკო), სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას (სსე) და ფონდს შორის დადებული „იმპლემენტაციის ხელშეკრულება“. ეს ხელშეკრულება არეგულირებს და მართავს პროექტის კომერციული, ფინანსური, იურიდიული და საგადასახადო საკითხების ყველა ძირითად ასპექტს; და აქციების საქართველოს მთავრობისთვის გადაცემას ხელშეკრულების ვადის ამოწურვის თარიღისთვის, რაც არის სამშენებლო პერიოდს დამატებული საოპერაციო პერიოდის 36 წელი.
- კომპანიას და ესკოს შორის დადებული „სიმძლავრის შეძენის ხელშეკრულება“ (PPA) არეგულირებს საქმიანობის დაწყების შემდეგ, ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურის მიერ გამოთქმავებული ელექტროენერგიის მიწოდებას.

³ „სს „ნენსკრა“-ს ნენსკრა ჰესის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის [დასკვნის](#) დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 2 ოქტომბრის №01-768 ბრძანება; მოგვიანებით ჩანაცვლებული „სს „ნენსკრა ჰიდროს“ ნენსკრა ჰესის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 13 აპრილის, N2-437 [ბრძანებით](#).

⁴ 2019 წლის 17 იანვარს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ნენსკრა ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილი ცვლილებები - სკრინინგის [ანგარიში](#).

- PPA⁵ საკრედიტო მხარდაჭერის ხელშეკრულება გაფორმებულია კომპანიასა და ფონდს შორის და არეგულირებს ფონდის მიერ, „სიმძლავრის შეძენის ხელშეკრულების“ ფარგლებში, შემსყიდველის გადახდის ვალდებულებებს.
- ფუტ (put) და ქოლ (call) ოფციონის ხელშეკრულება გაფორმებულია კომპანიას, საქართველოს მთავრობას, K-water-ს და ფონდს შორის და არეგულირებს მხარეების უფლებებსა და ვალდებულებებს „იმპლემენტაციის ხელშეკრულების“ ნაადრევი შეწყვეტის და/ან ვადის გასვლის შემთხვევაში; და
- აქციონერთა ხელშეკრულება გაფორმებულია კომპანიას, K-water-ს და ფონდს შორის და არეგულირებს კომპანიის აქციონერთა სტრუქტურასთან და ფონდის მიერ კომპანიის აქციების პოტენციურ გამოწერასთან დაკავშირებულ საკითხებს, კომპანიის კაპიტალში დაახლოებით 16,740 აშშ დოლარის (ან ეკვივალენტური ოდენობა ლარში) ოდენობით ნატურალური ფორმით განხორციელებული შენატანის და დაახლოებით 6,260 ათასი აშშ დოლარის (ან ეკვივალენტური ოდენობა ლარში) ოდენობით ფულადი სახსრების შენატანის საშუალებით.

„იმპლემენტაციის ხელშეკრულება“ სრულად კონფიდენციალური იყო 2017 წლის ნოემბრამდე. 2017 წლის ნოემბერში საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახდა ხელშეკრულების ზოგადი დებულებები. სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულებების, მიცემული გარანტიების და ელექტროენერჯის ფასის შესახებ ინფორმაცია კვლავ კონფიდენციალური იყო. თუმცა, 2017 წლის სექტემბერში ხელმისაწვდომი გახდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ მომზადებული საქართველოს ფისკალური გამჭვირვალობის შეფასების ანგარიში⁶, რომელშიც ნენსკრა ჰესის პროექტი შეფასებული იყო „უნიკალური მახასიათებლების მქონედ“ საქართველოს მთავრობის მიერ აღებული ვალდებულებებით წარმოქმნილი რისკების გამო. ხელშეკრულება სრულად 2019 წლის 8 ივნისს ტელეკომპანია რუსთავი 2-ის ეთერში გამოქვეყნდა⁷.

გამოქვეყნებულ დოკუმენტში⁸ კომპანიისა და საჯარო უწყებების მიერ ხელშეკრულების პირობების შესახებ გავრცელებული ინფორმაციისგან განსხვავებული პირობები აღმოჩნდა. კერძოდ, გაირკვა⁹ რომ:

- წლის განმავლობაში გამომუშავებული ელექტროენერჯიდან ნენსკრა ჰესი საქართველოს ზამთრის დეფიციტის დასაფარად მხოლოდ 21%-ს გაიღებს.
- ნენსკრა ჰესი საქართველოს ენერჯეტიკის ზამთრის დეფიციტს სრულად ვერ შეავსებს და მის ნახევარზე ნაკლებს - 43%-ს დაფარავს.
- სახელმწიფო ვალდებულებას იღებს, კომპანიისაგან 36 წლის განმავლობაში მუდმივად მაღალ ფასად (საშუალოდ 10.6 აშშ ცენტად) შეისყიდოს ელექტროენერჯია.
- სახელმწიფო დენს უფრო ძვირად შეისყიდის, ვიდრე მის გაყიდვას შეძლებს.
- სახელმწიფო ხელშეკრულებით დადგენილი ვალდებულებების შესრულების შემთხვევაში, წელიწადში მინიმუმ 60 მლნ აშშ დოლარს იზარალებს.

⁵ ენერჯის შეძენის შეთანხმება

⁶ [International Monetary Fund \(2017\). Georgia: Fiscal Transparency Evaluation](#)

⁷ „ნენსკრაჰესის მშენებლობის შემდეგ დენის ტარიფი შესაძლოა, გასამმაგდეს“ გადაცემა შაბათის კურიერი, ტელეკომპანია რუსთავი-2

⁸ [Implementation Agreement for the Nenskra Hydroelectric Project](#)

⁹ „მწვანე ალტერნატივა“ ნენსკრა ჰესთან დაკავშირებით საკომიტეტო მოსმენას ითხოვს, 17 ივნისი, 2019

- სახელმწიფო აზღვევს ნენსკრას ჰიდროლოგიურ რისკებს. მაგალითად, თუ არასაკმარისი წყლის გამო ჰესმა ნაკლები დენი გამოიმუშავა, სახელმწიფო მას ამ დანაკლისს აუნაზღაურებს.
- საქართველოს მთავრობა განსაკუთრებულ საგადასახადო პირობებს უქმნის პროექტს. სახელმწიფო იღებს ვალდებულებას ნენსკრა ჰესის მენეჯმენტს გადახდილი ქონების გადასახადი აუნაზღაუროს.
- სვანეთში ნენსკრა ჰესისთვის საჭირო ტერიტორიების 700 ჰა, რომელიც მკვიდრი მოსახლეობის სათემო საკუთრებაა, უკვე ჰესისთვის გადაცემულია.

2018 წლის სექტემბერში საზოგადოებისათვის რაიმე სახის განმარტებების გარეშე შეწყდა ჰესის პროექტირებასთან, შესყიდვასთან, მშენებლობასთან, ტესტირებასთან, ექსპლუატაციაში გაშვებასთან და დასრულებასთან დაკავშირებით - „Salini Impregilo S.p.A“-თან 2015 წლის 31 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულება (EPC). კომპანიამ გამოაცხადა ახალი ტენდერი პროექტისთვის დარჩენილი სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე, თუმცა, 2023 წლის 10 ნოემბერს ისიც გაუქმდა.

კომპანიის განმარტებით, პროექტის დროულად განხორციელებისთვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების შემდგომი გადადების თავიდან ასაცილებლად, გაფორმდა ქვეკონტრაქტები შპს „კავკასიურგოსთან“ და შპს „ქართულ სამშენებლო კონსორციუმთან“ ერთიანი ხელშეკრულების ფასებით 8,761 ათასი აშშ დოლარი და 37,288 ათასი აშშ დოლარი, შესაბამისად. შპს „ქართულ სამშენებლო კონსორციუმთან“ გაფორმებული ქვეკონტრაქტები მოგვიანებით შეწყდა, 2020 წელს და 2021 წლის დასაწყისში. შპს „კავკასიურგოსთან“ გაფორმებული ქვეკონტრაქტი 2023 წელს შეწყდა.

სს „ნენსკრა ჰიდრო“ 2023 წლის ფინანსური ანგარიშის თანახმად, „2019 წლის 28 იანვარს, კომპანიამ და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ გააფორმეს თანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის მიხედვითაც, მხარეებმა დაადასტურეს, რომ იმპლემენტაციის ხელშეკრულების ვადები და სხვა ძირითადი პირობები შეიძლება იქნეს გადახედილი და კორექტირებული განახლებული პროექტის ვადების მიხედვით, მათ შორის პროექტის მშენებლობის ახალი გრაფიკი. თუმცა, ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის იმპლემენტაციის ხელშეკრულება არ დაკორექტირებულა. იმის გათვალისწინებით, რომ იმპლემენტაციის ხელშეკრულება არ შესრულებულა, საქართველოს მთავრობამ დაიწყო მოლაპარაკებები კომპანიასთან ადრე შეთანხმებული ელექტროენერჯის ტარიფის/ტარიფის დაახლოებით 13%-ით შემცირებასთან დაკავშირებით. 2022 წლის 12 დეკემბერს, საქართველოს მთავრობამ ოფიციალურად მოსთხოვა კომპანიას თავდაპირველად შეთანხმებული ელექტროენერჯის ტარიფის შემცირება. ელექტროენერჯის ტარიფის შემცირებამ არსებითი უარყოფითი გავლენა იქონია პროექტის მომგებიანობაზე და ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ ეს უკანასკნელი გაუფასურების ინდიკატორს წარმოადგენდა. 2022 წლის 31 დეკემბრისთვის, ხელმძღვანელობამ გაუფასურებაზე ტესტირება ჩაატარა. გაუფასურებაზე ტესტირების შედეგად, კომპანიამ აღიარა სრული გაუფასურება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულთან მიმართებაში - პროექტთან დაკავშირებული გრძელვადიანი აქტივები. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობას არ გამოუვლენია ისეთი ინდიკატორები, რომლებიც გამოიწვევდა ადრე აღიარებული გაუფასურების აღდგენას.“

პროექტის დაფინანსება

ნენსკრას პროექტში ოთხი საერთაშორისო ბანკი მონაწილეობს. 2018 წლის იანვარში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა (ერგბ-EBRD) დაამტკიცა 214 მილიონი აშშ დოლარის

ოღონობის სესხი პროექტის განხორციელებისათვის, ხოლო 2018 წლის თებერვალში, რამდენჯერმე გადავადების შემდეგ, ევროპის საინვესტიციო ბანკმა (ესბ-EIB) 150 მილიონი. პროექტში ჩართული არიან აზიის განვითარებისა და აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკებიც. თუმცა, მას შემდეგ რაც 2020 წლის სექტემბერში დადგინდა¹⁰ EBRD-ის და EIB-ის გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკებთან პროექტის შეუსაბამობა, დამტკიცებულ სესხებს ხელი აღარ მოაწერა. ამჟამად, ერგბ-ს ვებ-გვერდზე პროექტის შესახებ განთავსებული ინფორმაციის თანახმად, სესხის გაცემის შესახებ გადაწყვეტილება გაუქმებულია¹¹.

სს „ნენსკრა ჰიდროს“ 2023 წლის ფინანსური ანგარიშზე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნის¹² თანახმად, კომპანიის დაფინანსების უმეტესი ნაწილი K-water-სგან არის მიღებული. ამავე დასკვნის თანახმად, „2023 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანიამ ვერ შეძლო „იმპლემენტაციის ხელშეკრულების“ და „საინჟინრო მომსახურება/შესყიდვა/მშენებლობის (“EPC”) ხელშეკრულების“ განახლება და ჰიდროელექტროსადგურის სამშენებლო სამუშაოების შესრულებისთვის აუცილებელი დაფინანსების მოპოვება. აღნიშნული მოვლენები და გარემოებები ... მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რაც მნიშვნელოვან ექვს ბადაებს კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ“.

პროექტის ეკოლოგიური ექსპერტიზა

ნენსკრა ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ეკოლოგიური ექსპერტიზა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2015 წლის 4 აგვისტოს მიმართვის საფუძველზე, მშენებლობის ნებართვის გაცემის მეორე სტადიაზე დაიწყო¹³ და 2015 წლის 2 ოქტომბერს დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაცემით¹⁴ დასრულდა.

თუმცა, ამ დროისთვის პროექტის განმახორციელებელ კორეულ „ქეი ვოთერს“ (K-Water) უკვე ნენსკრა ჰესის მშენებლობაზე ტენდერი ჰქონდა გამოცხადებული და 2015 წლის 20 ივლისს გამარჯვებულად - იტალიური კომპანია „სალინი-იმპრეგილო“ (Salini Impregilo) - დასახელებული ჰყავდა¹⁵. მეტიც, 2015 წლის 16 სექტემბერს საპარტნიორო ფონდმა კორეულ კომპანიასთან ერთად ნენსკრა ჰესის მშენებლობას ჩაუყარა საფუძველი. მშენებლობის დაწყების ღონისძიებაში კომპანიისა და საპარტნიორო ფონდის წარმომადგენლების გარდა მონაწილეობა მიიღეს

¹⁰ [ევროპული ბანკები: ნენსკრა ჰესი საერთაშორისო სტანდარტებს არ შეესაბამება](#), მწვანე ალტერნატივა, 9 სექტემბერი, 2020

¹¹ [Nenskra HPP ESIA, Status: Cancelled](#)

¹² სსდ ბულალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიშგების პორტალზე გამოქვეყნებული ანგარიში - სს „ნენსკრა ჰიდრო“ 2023 წლის ფინანსური ანგარიში

¹³ „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ კანონისა და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების მიხედვით ეკოლოგიური ექსპერტიზა მშენებლობის ნებართვის გაცემის მეორე სტადიაზე მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით ხდებოდა.

¹⁴ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 2 ოქტომბრის ბრძანება Nn768 „სს „ნენსკრას“ ნენსკრა ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“

¹⁵ [ნენსკრა ჰესი იტალიური კომპანია SALINI IMPREGILO ააშენებს](#), საქართველოს საპარტნიორო (ამჟამად, 'განვითარების') ფონდი

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, ენერჯეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ, მთავრობის წევრებმა, კორეის რესპუბლიკისა და იტალიის ელჩებმა¹⁶.

შესაბამისად, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაცემის პროცესი, მიუხედავად იმისა, რომ კანონით გათვალისწინებულზე მეტ ხანს გაგრძელდა და დაინტერესებული საზოგადოების მნიშვნელოვანი კრიტიკა¹⁷ და პროტესტიც მოიცვა¹⁸ - ფორმალურად წარიმართა და მიუხედავად უკიდურესად უხარისხოდ შესრულებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშისა, წინასწარ გაცხადებული სცენარით განვითარდა.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ კომპანიას დადებითი ეკოლოგიური დასკვნის გაცემის შემდეგ დაავალა იმ ინფორმაციის წარდგენა, რომელიც გადაწყვეტილების მიღების დროს უნდა განეხილა. ასე მაგალითად, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობების თანახმად, საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია:

- „დეტალური პროექტირების ეტაპზე უზრუნველყოს სამშენებლო მოედნის მიკროსივრცის მოდარაიონების სამუშაოების წარმოება და ნაგებობასთან უახლოესი ტექტონიკური რღვევის აქტიურობის დადგენა (დიფერენციალური გადაადგილების ალბათობა), ასევე კაშხლის სეისმური დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის შესწავლა და შესაბამისი დოკუმენტის შემუშავება, სადაც მოცემული იქნება ანალიზი მცირე, საშუალო და ძლიერი მიწისძვრების დროს კაშხლის მდგრადობის, რღვევისა და წყალსაცავის უეცარი დაცლის შესაძლებლობის შესახებ“.
- „ნებართვის გაცემიდან ერთი თვის ვადაში უზრუნველყოს ტოპოგრაფიული რუკის შემუშავება და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში წარმოდგენა, სადაც დატანილი იქნება, მშენებლობის დაწყებამდე იდენტიფიცირებული საშიში გეოლოგიური პროცესები (ქვათაცვენა, მეწყერი, ეროზია, ღვარცოფი, ზვავი).“
- „მშენებლობის პროცესში უზრუნველყოს საშიში გეოლოგიური პროცესების თვალსაზრისით იდენტიფიცირებულ უბნებზე შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების შემუშავება...“
- „ნებართვის აღებიდან 3 თვის ვადაში უზრუნველყოს მდ. ნენსკრაზე და მდ. ნაკრაზე ავტომატური (თვითმწერი) ღონეების მზომის განთავსება და მ. ნენსკრასა და მდ. ნაკრას ხარჯის განსაზღვრა.“
- „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში შესათანხმებლად წარმოადგინოს გამონამუშევარი ქანების განთავსებისათვის შერჩეული ტერიტორიების (GIS- კოორდინატებით) პროექტი.“ „მშენებლობის ნებართვის მიღებიდან 3 თვის ვადაში, უზრუნველყოს ბუნებრივი კატასტროფების პრევენციული ღონისძიებებისა და ავარიებზე სამოქმედო გეგმების წარმოდგენა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში.“

¹⁶ [სვანეთში ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას საფუძველი ჩაეყარა](http://www.netgazeti.ge), 16 სექტემბერი, 2015, netgazeti.ge

¹⁷ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ბანკებზე დამკვირვებელთა ქსელისა და მწვანე ალტერნატივას [ერთობლივი შენიშვნები](http://www.netgazeti.ge) ნენსკრა ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის თაობაზე, 25 სექტემბერი, 2015 წ

- „ვინაიდან საპროექტო ტერიტორიაზე ზემოქმედების ქვეშ ექცევა სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე არსებული ხე-მცენარეები, მშენებლობის დაწყებამდე აღნიშნული საკითხის შეთანხმება უზრუნველყოს სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან.“
- „ნარჩენების მართვის კოდექსის საფუძველზე უზრუნველყოს წარმოქმნილი ინერტული ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავება და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში წარმოდგენა.“
- „ლიცენზირებული ტერიტორიების გადაფარვის შემთხვევაში, უზრუნველყოს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მფლობელ ორგანიზაციასთან შეთანხმება.“
- „ნებართვის აღებიდან 3 თვის ვადაში უზრუნველყოს ბიომრავალფეროვნების ბოტანიკური კომპონენტის მონიტორინგის გეგმის შემუშავება და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში წარმოდგენა.“
- „ნებართვის მიღებიდან 1 წლის ვადაში უზრუნველყოს საკონსერვაციო/ადდგენის, შესაბამისი ბიოადდგენის სპეციფიკაციების და საკომპენსაციო გეგმების შემუშავება. ასევე, ფლორის იზვიათი სახეობების კონსერვაციის პროგრამის შემუშავება და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში წარმოდგენა.“
- „მშენებლობის პროცესში ეტაპობრივად უზრუნველყოს მცენარეების, ცხოველებისა და ჰაბიტატებზე გზშ-ს ანგარიშით გათვალისწინებული კვლევების წარმოება და ამ კვლევებზე დაყრდნობით უფრო კონკრეტულად განსაზღვროს მათზე ზემოქმედების სახეები. კვლევებზე დაყრდნობით მომზადდეს დეტალური, კონკრეტული და ეფექტური შემარბილებელი ზემოქმედების თავიდან აცილების და საკომპენსაციო ღონისძიებების პაკეტი. კვლევები და მასზე დაყრდნობით მომზადებული ინფორმაცია უნდა მოიცავდეს შემდეგს:
 - ზემოქმედებას/განადგურებას დაქვემდებარებული ჰაბიტატების ფართობები; ინფორმაცია, თუ რა დანიშნულებით იქნება გამოყენებული კონკრეტული ფართობი (განსაკუთრებით დეტალურად იქნას წარმოდგენილი ინფორმაცია მაღალი საკონსერვაციო ღირებულების ჰაბიტატებთან მიმართებით); იმ მაღალი საკონსერვაციო ღირებულების ნაკვეთებისათვის, რომლებიც გამოყენებულ იქნება სანაყაროებისათვის, განხილულ იქნას ალტერნატიული ფართობები, რომლებსაც მარალი საკონსერვაციო ღირებულება არ აქვთ.
 - ინფორმაცია საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილ მცენარეებზე ზემოქმედების (ჭრა/განადგურება) შესახებ და ასეთის არსებობის შემთხვევაში ჭრას/განადგურებას დაქვემდებარებული მცენარეების რაოდენობა (ძირთა რაოდენობა და მოცულობა);
 - კონკრეტული ღონისძიებები წაჭვე მოსალოდნელი მაღალი ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად, შესარბილებლად და საჭიროების შემთხვევაში საკომპენსაციოდ;
 - ცხოველთა სხვა, განსაკუთრებით საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი სახეობებისათვის დეტალური და კონკრეტული შემარბილებელი, ზემოქმედების თავიდან აცილების და საჭიროების შემთხვევაში საკომპენსაციო ქმედებები, ზემოქმედების სახეების მიხედვით;
 - ცხოველებზე ზემოქმედება განხილულ იქნეს ჰაბიტატების დაზიანება/ განადგურების კონტექსტში, კერძოდ: წარმოდგენილ იქნას ინფორმაცია ამათუ იმ სახეობის ცხოველის შესაბამისი ჰაბიტატების შესახებ; ამ ჰაბიტატების განადგურების შემთხვევაში ცხოველთა სხვა ფართობებზე გადანაცვლების შესაძლებლობის (ასეთი ფართობების საკმარისობა და სხვა) შესახებ.“

ზემოთმოყვანილი საკითხების შესახებ ინფორმაციის არქონის პირობებში, როგორ მიიღო გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ გადაწყვეტილება დადებითი

ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაცემის შესახებ გაუგებარია. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ეს ინფორმაცია უნდა ყოფილიყო გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის ნაწილი. შესაბამისად, შედეგმაც არ დააყოვნა და პროექტი არაერთი მნიშვნელოვანი ცვლილების საჭიროების წინაშე დადგა.

პროექტში ცვლილებების შესახებ გადაწყვეტილება

ცვლილების საჭიროება

2019 წლის 17 იანვარს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა სკრინინგის განცხადება, რომლის თანხმად¹⁹, სს „ნენსკრა ჰიდრო“ მესტიის მუნიციპალიტეტში გეგმავდა ნენსკრა ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში ცვლილებების შეტანას. როგორც გაირკვა, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსგან განსხვავებით, პოტენციური დონორებისათვის არადამაჯერებელი აღმოჩნდა ჩატარებული კვლევები პროექტის გარემოზე ზემოქმედების შესაფასებლად და პროექტში ცვლილებების საჭიროება სწორედ დონორების მოთხოვნით დამატებული კვლევების საფუძველზე გამოიკვეთა. სკრინინგის ანგარიშში აღნიშნულია: „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ, ნენსკრას მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა გაცემული იქნა 2015 წლის ოქტომბრის თვეში, რის შემდეგაც სს „ნენსკრა ჰიდრო“-ს მიერ მოწვეული იქნა პოტენციური დამფინანსებელი რამდენიმე საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაცია (EBRD, IFC). აღნიშნულმა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებმა, პროექტის საკუთარ გარემოსდაცვით და სოციალურ პოლიტიკასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, მოითხოვეს ბუნებრივი და სოციალური გარემოს დამატებითი კვლევების ჩატარება. საპროექტო ტერიტორიებზე დამატებითი კვლევები ჩატარდა 2015-2016 წლებში, კერძოდ: დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური და ჰიდროლოგიური კვლევები, ბიოლოგიური და სოციალური გარემოს დამატებითი კვლევები და სხვა.

ბუნებრივი და სოციალური გარემოს დამატებითი კვლევების შედეგების საფუძველზე, პროექტის ოპტიმიზაციის მიზნით, შემუშავებული იქნა რამდენიმე საპროექტო ცვლილება, მათ შორის:

- კაშხლის ღერძის ცვლილება - მარჯვენა ბურჯი გადაადგილება 100 მ-ით ზედა ბიეფის მიმართულებით, ხოლო მარცხენა ბურჯი 50 მ-ით ზედა ბიეფის მიმართულებით;
- კაშხლის სიმაღლის ცვლილება-ნენსკრას კაშხლის სიმაღლე 135 მ-დან შემცირდა 125 მ-მდე და შესაბამისად შემცირდა წყალსაცავის სარკის ზედაპირის ფართობი 3.0 კმ²-დან, 2.7 კმ²-მდე;
- კაშხლის კონსტრუქციის ცვლილება-ქვანაყარი კაშხლის თავდაპირველი პროექტით გათვალისწინებული ასფალტის გული, შეიცვალა ასფალტის ეკრანით;
- ეკოლოგიური ხარჯის გასატარებელი მილის დიამეტრის ცვლილება-პროექტის თავდაპირველ ვარიანტთან შედარებით ორჯერ გაიზარდა ნენსკრას კაშხლიდან ეკოლოგიური ხარჯის გასატარებელი მილის დიამეტრი (ეკოლოგიური ხარჯის რაოდენობა არ შეცვლილა);
- ჰიდროსაინჟინერო კედლის სიღრმის გაზრდა-ნენსკრას კაშხლის საძირკველში არსებული ალუვიური ნალექების ეროზიის რისკის შემცირების მიზნით, ჰიდროსაინჟინერო კედლის სიღრმე ნაცვლად თავდაპირველი პროექტით გათვალისწინებული 65 მ-სა, მიღებულია 85 მ;
- მცირე შენაკადის დერივაცია-მცირე შენაკადის დერივაციის დროებით შემცირების ან შეწყვეტის მიზნით, წყალგადასაშვები კაშხლის დიზაინის შეცვლა და წყალსაგდები ნაგებობის დამატება

¹⁹ [„სკრინინგის განცხადება - მესტიის მუნიციპალიტეტში, სს „ნენსკრა ჰიდროს“ ნენსკრა ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილი ცვლილებები“.](#)

- დამატებითი რადიალური საკეტების მოწყობა-მყარი ნატანის წყალგამტარ გვირაბში მოხვედრის რისკის შემცირების, ასევე მყარი ნატანის ქვედა ბიეფში ნატანის ტრანსპორტირების პირობების შენარჩუნების მიზნით, ნაკრას კაშხალზე ორი რადიალური საკეტის დამატება;
- ნაკრას წყალგამტარი გვირაბის ჩამკეტი ფარის მოწყობა-ნაკრას წყალმიმღებიდან, ნენსკრას წყალსაცავში წყლის მიწოდების რეგულირების მიზნით, წყალგამტარი გვირაბის შესასვლელ პორტალთან ჩამკეტი ფარის მოწყობა;
- **ნაკრას წყალმიმღების ადგილმონაცვლეობა**-საშიში გეოდინამიკური პროცესების გააქტიურების რისკების პრევენციის მიზნით, ნაკრას წყალმიმღების და წყალგამტარი;
- გვირაბის შესასვლელი პორტალის ხეობის ზედა ნიშნულებზე **გადანაცვლება** დაახლოებით 622 მ-ით;
- ნაკრას წყალმიმღები გვირაბის დიამეტრის ცვლილება, კერძოდ დიამეტრის შემცირება 4.5 მ-დან 3.5 მ-დე;
- ნაკრას თევზსავალის ტიპის შეცვლა-ნაკრას კაშხალზე დაგეგმილი კიბისებრი თევზსავალის ნაცვლად, მდინარის ბუნებრივ კალაპოტთან მიახლოებული თევზსავალის მოწყობა;
- ჰესის შენობის ცვლილება-თავდაპირველ სქემასთან შედარებით ჰესის ძალური კვანძის ფართობის შემცირება ტურბინების რაოდენობის შემცირებიდან გამომდინარე (ოპტიმიზაციის პროცესში 4 ტურბინის ნავლად გადაწყდა 3 ტურბინის დამონტაჟება).“

ზემოთმოყვანილი ინფორმაციიდან ნათელია, რომ პროექტი რომელზეც გაიყა დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა 2015 წელს როგორც ტექნიკურად და ტექნოლოგიურად, ისე ადგილმდებარეობის თვალსაზრისითაც განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილებები და მივიღეთ თვისობრივად სხვა პროექტი სხვა ადგილზე. ამდენად, პროექტს ხელახლა უნდა გაეკლო გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურა. თუმცა, კომპანია დაინტერესებული იყო პროცესის მარტივად წარმართვით და სამინისტრომ ამაში, სრულიად უკანონოდ, შეუწყო ხელი.

სკრინინგის პროცედურა

2019 წლის 17 იანვარს გამოქვეყნებული სკრინინგის განცხადებასთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში შესაძლებელი იყო 2019 წლის 28 იანვრამდე. განსახილველად წარმოდგენილი იყო:

1. ნენსკრა ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილი ცვლილებები - სკრინინგის ანგარიში -150 ფურცელი;
2. ნაკრას დამბის და წყალგამტარი გვირაბის განთავსების ტერიტორიის გეოლოგიური პირობები, 2017 - 111 ფურცელი;
3. გეოფიზიკური კვლევები, ტექნიკური ანგარიში, ნოემბერი 2016 - 20 ფურცელი;
4. საბაზისო პროექტი, ნენსკრას ასფალტით მოსახული ქვანაყარი კაშხლის (AFRD) ფილტრაციისა და სადრენაჟო სისტემა სადრენაჟო სისტემის შეფასება, ტექნიკური ანგარიში, დეკემბერი, 2016 - 49 ფურცელი;
5. საბაზისო პროექტი, გაჟონვის ანალიზი რიცხვითი მოდელირებით, 2016 წლის დეკემბერი - 90 ფურცელი;
6. საბაზისო პროექტი, ჰიდროლოგიური კვლევა, 2016 წლის დეკემბერი - 51 ფურცელი;
7. საბაზისო პროექტი, მიმყვან გვირაბთან დაკავშირებული რისკები და ექსკავაციის მეთოდები, რისკების შეფასება, 2016 წლის დეკემბერი - 29 ფურცელი;

8. დეტალური პროექტი, ბუნებრივი საფრთხეების რისკების შეფასება - მუდმივი ნაგებობები, ტექნიკური ანგარიში, 2018 წლის ოქტომბერი - 128 ფურცელი.

ჩამონათვალიდანაც კი ნათელია, რომ განსახილველი დოკუმენტების არც შინაარსი და არც მოცულობა არ შეესაბამებოდა სკრინინგის ეტაპზე განსახილველ საკითხებს და ნათელი იყო, რომ კომპანია ცდილობდა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის განხილვისათვის გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით დადგენილი საჯარო განხილვის პროცედურისაგან თავის არიდებას.

შედეგად, დაინტერესებულ საზოგადოებას ჯამურად 628 გვერდიანი დოკუმენტის გასაცნობად და შენიშვნების მოსამზადებლად 7 სამუშაო დღე ჰქონდა, რაც ნაკლებად შეიძლება განვიხილოთ გონივრულ ვადად მსგავსი სირთულის დოკუმენტის განსახილველად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 628-დან 137 ფურცელზე ინფორმაცია არასახელმწიფო ენაზე იყო, რაც დაუშვებელია.

შეცვლილი გარემო პირობები

2018 წლის 5 ივლისს, ჭუბერის თემის ტერიტორიაზე, მოულოდნელად განვითარებული სტიქიის შედეგად, აღიღებულმა მდ. ნენსკრამ დატბორა ჭუბერის თემის სოფლები, სრულად გაანადგურა ინფრასტრუქტურა, მათ შორის, ხიდები, გზები და დაანგრია მდინარის გასწვრივ არსებული სახლები. ჭუბერის თემის რამდენიმე სოფელი გარესამყაროს მოწყდა. განვითარებული სტიქიური მოვლენის შედეგად, მკვეთრად შეიცვალა მთლიანად ჭუბერის ხეობის და საპროექტო არეალში არსებული ბუნებრივი და სოციალური გარემო. ილიას უნივერსიტეტის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტის ინფორმაციით, „ნენსკრას ხეობაში, 5 ივლისს მომხდარი კატასტროფის მიზეზების შესწავლისას, სატელიტურმა მონაცემებმა გვაჩვენა რომ თოვლის და მყინვარების სეზონურმა დნობამ და 4 ივნისის ინტენსიურმა წვიმამ გამოიწვია მდ. ნენსკრას აუზის მდინარეების აღიღება. თუმცა, კატასტროფამდე და კატასტროფის შემდეგ გადაღებული სატელიტური გამოსახულებების დეტალური ანალიზისას გამოიკვეთა, რომ მდ. ნენსკრას განსაკუთრებული, კატასტროფული აღიღება გამოიწვია მის მარჯვენა შენაკად მდ. ჰოკრილას ერთ-ერთ სათავეში ახალწარმოქმნილ მყინვარულ ტბაზე განვითარებულმა მოვლენებმა რომლებიც დამატებით კვლევას საჭიროებს“²⁰.

ასევე, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტოს სპეციალისტების მიერ სტიქიური პროცესების გამომწვევი მიზეზების დადგენის მიზნით, მომზადდა ანგარიში, შესაბამისი დასკვნებითა და რეკომენდაციებით. დადგინდა, რომ ადგილი ჰქონდა მდ. ნენსკრას ხეობაში უხვი ატმოსფერული ნალექების მოსვლას, ასევე მაღალი ატმოსფერული ტემპერატურების ფონზე ნარჩენი თოვლისა და მყინვართა დნობის აქტიურ პროცესს. ჭარბნალექიანობამ ხეობაში არსებული მეწყრულ-გრავიტაციული უბნების და ღვარცოფული წყალსადინარების გააქტიურება გამოიწვია, განსაკუთრებით მდ. ნენსკრას მარჯვენა შენაკადის - მდ. ოკრილას ხეობაში. მდ. ოკრილას დინების ქვედა წელიდან მდ. ნენსკრას შესართავამდე ადგილი ჰქონდა ღვარცოფული ნაკადებით მყარი ნატანის და მოგლეჯილი ხე-მცენარეების შედეგად ცალკეულ უბნებზე წყლის ნაკადების მოკლევადიან შეგუბებებს, რომელთა მოცულობების ზრდამ და მათი გარღვევის შემდეგ გაზრდილი ენერჯის ხარჯმა მდ. ნენსკრას დინების ქვემო წელში, განსაკუთრებით დასახლებულ ტერიტორიებზე, ნაპირგარეცხვითი პროცესების ინტენსივობის მკვეთრი ზრდა და დატბორვა გამოიწვია. სტიქიის შედეგად დეფორმაცია განიცადა, ან მთლიანად დაინგრა მდინარის ჭალაში მდებარე საცხოვრებელი სახლები და დამხმარე ნაგებობები, წაირეცხა სასოფლო-სამეურნეო

²⁰ [“მყინვარული ტბიდან დაწყებული კატასტროფის გავლენა ნენსკრას ხეობის ლანდშაფტზე”](#), დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტისა და სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრის განცხადება

სავარგულები, დაინგრა რამდენიმე ხიდი, დაზიანდა საავტომობილო გზების ცალკეული მონაკვეთები და მაღალი დაბვის ელექტროგადამცემი ხაზები²¹.

სტიქიური მოვლენის განვითარებიდან მალევე, ადამიანის უფლებებზე და გარემოსდაცვით საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები ითხოვდნენ²² ჰოლანდიის გარემოზე ზემოქმედების კომისიის²³ მოწვევას ახლადგანვითარებული და მოსალოდნელი სტიქიური მოვლენების კონტექსტში ნენსკრაჰესის საპროექტო დოკუმენტაციის ექსპერტიზისათვის; და რეგიონში მიმდინარე გეოლოგიურ პროცესებზე მდ. ენგურის აუზში დაგეგმილი ჰესების კუმულაციური ზემოქმედების შეფასებისათვის. თუმცა, ეს მოთხოვნა არ იქნა განხილული; მეტიც, საკითხი ნენსკრაჰესის 2019 წელს წარდგენილ სკრინინგის ანგარიშში არც კი იქნა განხილული, ან რაიმენაირად გათვალისწინებული, და ეს არ აღმოჩნდა პრობლემური გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის სკრინინგის გადაწყვეტილების მიღებისას.

სკრინინგის გადაწყვეტილება

2019 წლის 4 თებერვალს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა გამოსცა ბრძანება N2- 110 „სს „ნენსკრა ჰიდროს“ ნენსკრა ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილ ცვლილებებზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“. ბრძანების თანახმად, მინისტრის გადაწყვეტილებით, ნენსკრა ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილი ცვლილებები არ დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას და სს „ნენსკრა ჰიდროს“ დაევალია მშენებლობა და ექსპლუატაცია განახორციელოს ნენსკრა ჰესის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გაცემული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით #60 02.10.2015წ. დადგენილი პირობების შესაბამისად სკრინინგის განცხადების წარმოდგენილი ცვლილებების გათვალისწინებით. ანუ, სხვა ადგილზე სხვა ტექნიკური გადაწყვეტით მომზადებულ პროექტზე გაცემული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით დადგენილი პირობები სავალდებულო გახდა ახალი პროექტის განხორციელებისათვის.

ამასთან, სს „ნენსკრა ჰიდროს“ კვლავ პოსტფაქტუმ დაევალია იმ ინფორმაციის წარმოდგენა, რომლიც გადაწყვეტილების მიღებისას უნდა ყოფილიყო განხილული. კერძოდ, სკრინინგის გადაწყვეტილების თანახმად, სს „ნენსკრა ჰიდროს“ ვალდებული იყო სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 6 თვის ვადაში სამინისტროში შესათანხმებლად წარედგინა:

- გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმები;
- ბიომრავალფეროვნების შემარბილებელი ღონისძიებების და მონიტორინგის გეგმები;
- მოსალოდნელ რისკებისა და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა.

სს „ნენსკრა ჰიდროს“ ვალდებული იყო სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 6 თვის ვადაში წარმოდგენილი ცვლილებების გათვალისწინებით უზრუნველყო ნაკრას წყალმიმღების ქვედა

²¹ “მდინარე ნენსკრას ხეობაში 2018 წლის 5 ივლისს განვითარებული სტიქიური პროცესების შეფასების ანგარიში” ეროვნული სააგენტო

²² [ადამიანის უფლებებზე და გარემოსდაცვით საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების განცხადება ჩუბერში შექმნილ კრიზისთან დაკავშირებით](#), 16 ივლისი, 2018

²³ ჰოლანდიის გარემოზე ზემოქმედების კომისია არის მაღალი ავტორიტეტის მქონე ინსტიტუტუცია, რომლის კომპეტენცია აღიარებულია საერთაშორისო მასშტაბით და რომელსაც აქვს საქართველოს მთავრობასთან მრავალწლიანი გამოცდილება – eia.nl/en

ბიუჯეტი ეკოლოგიური ხარჯის გაზრდა და შესაბამისი ინფორმაციის სამინისტროში შესათანხმებლად წარდგენა; ასევე, სამინისტროსთან უნდა შეთანხმებულიყო ნარჩენების მართვის გეგმა.

პროექტთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი დავები

შესაბამობა ბერნის კონვენციის მოთხოვნებთან

2016 წლის სექტემბერში „მწვანე ალტერნატივამ“ და „ბალკანეთის ველური ბუნების საზოგადოებამ“ (Balkani Wildlife Society) ერთობლივი საჩივრით²⁴ მიმართეს „ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის შესახებ“ (ბერნის) კონვენციის სამდივნოს საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების გამო ნენსკრა ჰესის მშენებლობისათვის „ზურმუხტის საიტების“ კანდიდატების სიიდან „სვანეთი 1“ საიტის ამოღების თაობაზე.

საქმის საბოლოო განხილვა არ მომხდარა. საჩივარს ჯერ კიდევ მოლოდინის რეჟიმში არსებულის სტატუსი აქვს. საქართველოს მთავრობა გამუდმებით ითხოვს საჩივრის დახურვას, თუმცა ბერნის კონვენციის მულტიმომქმედი კომიტეტის ბიურო ამ მოთხოვნას არ აკმაყოფილებს.

2020 წლის 7-8 აპრილს გამართულ შეხვედრაზე ბიურომ კიდევ განიხილა საჩივარი და მოუწოდა საქართველოს მთავრობას, დაიცვას მდინარეები დაუგეგმავი ჰესების მშენებლობისგან. ბერნის კონვენციამ გაიზიარა „მწვანე ალტერნატივას“ არგუმენტები, რომ საქართველოში „ზურმუხტის ქსელის საიტების“ რაოდენობა და ფართობი შემცირებულია, ბუნებისდაცვითი ტერიტორიებიდან ამოღებულია ადგილები, სადაც იგეგმება ჰიდროელექტროსადგურების აშენება, დიდი მდინარეები დაუცველია და ეს ყველაფერი განპირობებულია ჰიდროენერგეტიკის განვითარების სტრატეგიული გეგმის არარსებობით. მაგალითად, მდინარე რიონი ვერ მოხვდა საქართველოს „ზურმუხტის ქსელში“, ისევე როგორც ის ვერ მოხვდა დაგეგმილი რაჭის ეროვნული პარკისა და ადკვეთილის ფართობში, ვინაიდან ხელისუფლებამ ონისა და ნამახვანის ჰესების კასკადების აშენება გადაწყვიტა.

„ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის შესახებ“ (ბერნის) კონვენციის მმართველმა ორგანომ საქართველოს მოსთხოვა დაიცვას დიდი მდინარეები და შეიყვანოს ისინი ქვეყნის ბუნებისდაცვითი ტერიტორიების ქსელში – „ზურმუხტის ქსელში“. ბიუროს გადაწყვეტილებით²⁵, საქართველოს მთავრობას ასევე დაევალა შეიმუშაოს მდინარეების დაცვის ეროვნული გეგმა.

ბერნის კონვენციის წევრი საქართველო 2002 წელს გახდა. კონვენციის წევრი ქვეყნების ვალდებულებაა, საკუთარ ტერიტორიებზე ჩამოაყალიბონ „სპეციალური კონსერვაციული მნიშვნელობის მქონე არეალებისგან შემდგარი ბუნებისდაცვითი ქსელი – „ზურმუხტის ქსელი“. ქსელის მიზანია ევროპის მასშტაბით მნიშვნელოსაქმის საბოლოო განხილვა არ მომხდარა. საჩივარს ჯერ კიდევ მოლოდინის რეჟიმში არსებულის სტატუსი აქვს. ვანი სახეობებისა და მათი საბინადრო გარემოს შენარჩუნება. „ზურმუხტის ქსელის“ ჩამოყალიბების ვალდებულება საქართველოს ევროკავშირთან დადებული ასოცირების ხელშეკრულებითაც აქვს.

²⁴ 'მწვანე ალტერნატივას' და „ბალკანეთის ველური ბუნების საზოგადოების“ [საჩივრის ტექსტი](#)

²⁵ ბერნის კონვენციის მულტიმომქმედი კომიტეტის ბიუროს გადაწყვეტილების [სრული ტექსტი](#)

შესაბამობა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების სტანდარტებთან

2017 წლის 7 დეკემბერს მწვანე ალტერნატივას დახმარებით მესტიის მუნიციპალიტეტის სოფლების - ნაკრას და ჭუბერის ათმა მაცხოვრებელმა მიმართა²⁶ აზიის განვითარების ბანკის (ADB) შესაბამისობის შემოწმების პანელს ბანკის მიერ ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურის პროექტისათვის შეთავაზებულ სესხთან დაკავშირებით. მომჩივანები აცხადებდნენ, რომ მათ უარი ეთქვათ პროექტთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობაზე, არასაკმარისი და არასათანადო საჯარო კონსულტაციები განხორციელდა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე პროექტის შესაძლო ზემოქმედებისა და შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრისას. პროექტის ზეგავლენა და რისკები არ იყო სათანადოდ იდენტიფიცირებული. ამავდროულად მომჩივანები მიუთითებდნენ მნიშვნელოვან გეოლოგიურ საფრთხეებზე, მიკრო კლიმატის ცვლილების, ჯანმრთელობისა და სოფლის მეურნეობის საკითხების გამწვავების და საერთო ჯამში, სვანეთის ტრადიციულ საზოგადოებაზე და ცხოვრების წესზე პროექტის ნეგატიური გავლენას მკაფიო საფრთხეებზე. 2018 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილების ბანკის შესაბამისობის შემოწმების პანელს შეფასების საფუძველზე საჩივარი დასაშვებად იქნა მიჩნეული. 2018 წლის 23 მარტს კი ბანკის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა დასაშვებობის შეფასების ანგარიში ქართულ²⁷ და ინგლისურ ენებზე. მიუხედავად დადებითი რეკომენდაციისა, ბანკის დირექტორთა საბჭომ საჩივრის დეტალური განხილვის რეკომენდაცია არ გასცა პროექტზე და შემოიფარგლა მხოლოდ დასაშვებობის ანგარიშში არსებული დასკვნების გაზიარებით.

2018 წელს ცენტრალური და ადმოსავლეთ ევროპის ბანკებზე დამკვირვებელთა ქსელმა²⁸ და მწვანე ალტერნატივამ და ჭუბერის მაცხოვრებლებმა ერთობლივი საჩივარი²⁹ წარადგინეს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების (EBRD) ბანკის პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმისა (IPAM - Independent Project Accountability Mechanism) და ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) საჩივრების მექანიზმის (Complaint Mechanism) გამოყენებით.

საჩივრის ავტორები თვლიან, რომ ნენსკრა ჰესის პროექტი არ განიხილავს მის პოტენციურად მნიშვნელოვან ზემოქმედებას და ზიანს სვანებისათვის, როგორც მკვიდრი მოსახლეობისათვის³⁰ ავტორები ამტკიცებენ, რომ პროექტი უარყოფით გავლენას მოახდენს სვანების კულტურაზე, საარსებო გარემოზე, ჯანმრთელობასა და ზოგადად კეთილდღეობაზე. საჩივრის თანახმად, ბანკებმა ნენსკრას პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების პროცესში არ გამოიყენეს მკვიდრი მოსახლეობის სტანდარტები და, შესაბამისად, არ მოხდა სვანების (ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი ჯგუფი) სწორი კატეგორიზაცია. საჩივრის თანახმად, სვანებს არ მიეცათ უფლება, განესაზღვრათ თავიანთი შემდგომი განვითარება, ან დაედგინათ პროექტის

²⁶ აზიის განვითარების ბანკის (ADB) შესაბამისობის შემოწმების პანელი, საქართველო - ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურის პროექტი, [საჩივრის განხილვის მასალები](#)

²⁷ [დასაშვებობის ანგარიში, შესაბამისობის ანალიზის პანელის მოთხოვნა # 2017/4 GEO: ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურის პროექტთან დაკავშირებით \(პროექტის ნომერი 49223-001\)](#), 2018 წლის 8 თებერვალი

²⁸ [CEE Bankwatch Network](#)

²⁹ საჩივრის ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმის მიერ განხილვის ამსახველი ინფორმაცია ხელმისაწვდომია სპეცილურ [გვერდზე](#) სრული დოკუმენტაციის თანხლებით. ასევე, შესაბამისი დოკუმენტაცია განთავსებულია ევროპის საინვესტიციო ბანკის ვებ-გვერდის შესაბამის [განყოფილებაში](#).

³⁰ მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ „მწვანე ალტერნატივას“ და „ცენტრალური და ადმოსავლეთ ევროპის ბანკების დამკვირვებელთა ქსელის ერთობლივი ანგარიში [„ნენსკრა ჰესი და მკვიდრი მოსახლეობის სტატუსი“](#), 2021

შემდგომი უარყოფითი ზემოქმედება მათ თემებზე. ასევე, შეზღუდული და არასათანადოდ იყო ჩატარებული პროექტის შესახებ საჯარო კონსულტაციები, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება და შესაბამისად, შემარბილებელი ღონისძიებებიც.

ორწლიანი გამოძიების შემდეგ, ორი უმსხვილესი ევროპული ბანკის გასაჩივრების მექანიზმმა სვანეთში დაგეგმილი ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურის პროექტი საერთაშორისო სტანდარტებისთვის შეუსაბამოდ სცნო³¹. ბანკების დამოუკიდებელი გასაჩივრების მექანიზმების ერთობლივი მოკვლევის შედეგად, გაირკვა, რომ ნენსკრა ჰესის პროექტი ბანკების სტანდარტებს არ შეესაბამება ისეთ ფუნდამენტურ საკითხებში, როგორებიცაა: მკვიდრი მოსახლეობის უფლებები, კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, პროექტის ალტერნატივების შესწავლა, გენდერული საკითხები, ინფორმაციის გამჭვირვალობა, ნენსკრა ჰესის პროექტის განმარტებული კომპანიის წარმომადგენელთა კომპეტენცია.

გასაჩივრების მექანიზმების დასკვნებში აღნიშნულია, რომ EBRD-ის და EIB-ის მენეჯმენტმა ნენსკრა ჰესის პროექტი ბანკების დირექტორთა საბჭოებს დასამტკიცებლად ისე წარუდგინეს, რომ ის გარემოსდაცვით და სოციალურ სტანდარტებს არ შეესაბამებოდა.

მას შემდეგ, რაც მნიშვნელოვანი შეუსაბამობები დადგინდა, EBRD-ის და EIB-ის გასაჩივრების მექანიზმები ბანკების მენეჯმენტისგან შეცდომების გამოსწორებას ითხოვენ და მათთვის რეკომენდაციები მოამზადეს, მათ შორის: ხელახლა გამოიკვლიონ სვანების მკვიდრი მოსახლეობის სტატუსთან შესაბამისობის საკითხი - ჩაატარონ დამატებითი შეფასება, რომლის დროსაც შეგროვდება სათანადო ინფორმაცია და კონსულტაციები გაიმართება სვანებთან; და სწორედ ამგვარად წარმართულმა პროცესმა უნდა განსაზღვროს მათი სტატუსი; შეიმუშავონ პროექტის ალტერნატივები, სრულად შეისწავლონ ჰესისა და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული და დაგეგმილი პროექტების კუმულაციური ზემოქმედება, პროექტის სოციალური და გენდერული ზემოქმედება, აგრეთვე ზეგავლენა არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობაზე; გაიზარდოს ნენსკრას მმართველი კომპანიის გარემოსდაცვითი და სოციალური გუნდის თანამშრომელთა ცოდნა, კომპეტენცია და უნარები.

შეუსაბამობა ევროპის ენერგეტიკული გაერთიანების რეგულაციებთან³²

2019 წლის 2 აგვისტოს „მწვანე ალტერნატივამ“ საჩივარი³³ წარადგინა ევროპის ენერგეტიკული გაერთიანებაში. საჩივარი ეხებოდა 2015 წლის 31 აგვისტოს გაფორმებულ ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურის პროექტის იმპლემენტაციის ხელშეკრულებასა და მასში 2017 წლის 16 ივნისს შეტანილ ცვლილებებს და მის თავსებადობას ევროპის ენერგო-გაერთიანების რეგულაციებთან. ხელშეკრულება გაფორმდა საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროსისტემის კომერციულ ოპერატორს“ (ესკო), სს „სახელმწიფო ელექტროსისტემას“, სს „საპარტნიორო ფონდსა“ და სს „ნენსკრა ჰიდროს“ შორის. ხელშეკრულებით დარეგულირდა ენერჯის გარანტირებული შესყიდვის პირობები, გრძელვადიან პერიოდში ენერჯის შესასყიდი ტარიფები, გარანტირებული გენერაციის რაოდენობა და სხვა. საქართველომ (როგორც ენერგო-გაერთიანების სრულუფლებიანმა წევრმა) და სახელმწიფო კომპანიებმა ხელშეკრულებაზე ხელმოწერით დაარღვიეს ენერგო-გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების პირობები ევროკავშირის სახელმწიფო დანმარების რეგულაციებთან მიმართებით.

³¹ ევროპული ბანკების დასკვნით, ნენსკრა ჰესი საერთაშორისო სტანდარტებს არ შეესაბამება, მთის ამბები, 9 სექტემბერი, 2020

³² ევროპის ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოში წარდგენილი [საჩივრის განხილვის მასალები](#)

³³ [მწვანე ალტერნატივას საჩივარი](#)

საჩივრის საფუძველზე, ევროპის ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნომ გაანალიზა ნენსკრას პროექტზე გაფორმებული საიმპლემენტაციო ხელშეკრულება ენერჯის შესყიდვის კუთხით და მისი თავსებადობა საბაზრო ეკონომიკის ინვესტიორის პრინციპთან. ეს პრინციპი გულისხმობს ნორმალურ საბაზრო პირობებში, სახელმწიფოს ჩართულობის ხარისხის განსაზღვრას სხვა კერძო ინვესტიორთან მიმართებით. სამდივნოს წინასწარი დასკვნით³⁴, ნენსკრა ჰესის პროექტზე გაფორმებული ჩარჩო ხელშეკრულება სს „ნენსკრა ჰიდროს“ საბაზრო პრინციპებთან მიმართებაში შერჩევით უპირატესობას ანიჭებს. კერძოდ, ეს ეხება შემსყიდველის (ამ შემთხვევაში, ელექტროსისტემის კომერციული ოპერატორი – ESCO) მიერ აღებულ ვალდებულებებს შეიძინოს სრულად გამომუშავებული ენერჯია 36 წლის განმავლობაში ფიქსირებულ ფასად, გადასცეს მიწა სიმბოლურ ფასად და გადასახადებთან დაკავშირებით (დამატებული ღირებულების გადასახადი – დღგ და სამემოსავლო გადასახადი) კომპანიის სასარგებლოდ დაუშვას გამონაკლისები.

დავა სასამართლოში

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, 2019 წლის 4 თებერვალს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა გამოსცა ბრძანება N2-110 „სს „ნენსკრა ჰიდროს“ ნენსკრა ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილ ცვლილებებზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“. ბრძანების თანახმად, მინისტრმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ სს „ნენსკრა ჰიდროს“ ნენსკრა ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილი ცვლილებები არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

სკრინინგის გადაწყვეტილების მისაღებად სს „ნენსკრა ჰიდროს“ მიერ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარდგენილი ანგარიშის თანახმად, დაგეგმილმა ნენსკრა ჰესის პროექტმა, რომელზეც 2015 წლის ოქტომბერში გაიცა დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, განიცადა მნიშვნელოვანი ტექნიკური, ტექნოლოგიური და რაც მთავარია, ადგილმდებარეობის ცვლილებები. აქვე უნდა აღვნიშნოს, რომ ნენსკრა ჰესის პარამეტრების ცვლილებასთან ერთად, საპროექტო არეალში და მთლიანად ჭებერის ხეობაში, 2018 წლის 5 ივლისს განვითარებული სტიქიური მოვლენის შედეგად, შეცვლილია ბუნებრივი და სოციალური გარემოც. ეს გარემოება არ იყო ასახული სკრინინგის გადაწყვეტილების მისაღებად წარდგენილ ანგარიშში.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს უნდა ეხელმძღვანელა გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ქვეპუნქტით, რომლის თანახმად, საქმიანობა ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას მიუხედავად იგივე სახელწოდებისა, ვინაიდან განსახილველად წარდგენილი იყო ახალი პროექტი (განსხვავებული ტექნიკური გადაწყვეტით, შეცვლილი მდებარეობით და შეცვლილი გარემო პირობებით), რომელიც წარმოადგენს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის პირველი დანართით განსაზღვრულ საქმიანობას (2 მეგავატი და მეტი).

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, 2019 წლის 19 მარტს მწვანე ალტერნატივამ და სოციალური სამართლიანობის ცენტრის მეშვეობით - ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა

³⁴ გადაწყვეტილების [ტექსტი](#) და არაოფიციალური თარგმანი [ქართულად](#)

სარჩელი³⁵ წარადგინეს თბილისის საქალაქო სასამართლოში და მოითხოვეს მინისტრის სადავო ბრძანების ბათილად ცნობა და საკითხის გადაწყვეტამდე მისი მოქმედების შეჩერება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ნათია ბუსკაძემ 2019 წლის 21 მარტს საქმის წარმოებაში მიღებისთანავე მიიღო გადაწყვეტილება არ დაეკმაყოფილებინა სასამართლოში დავის საბოლოო დასრულებამდე ბრძანების მოქმედების შეჩერების მოთხოვნა. სარჩელის პირველი მოსამზადებელი სხდომა მხოლოდ ერთი წლის შემდეგ 2020 წლის 18 თებერვალს ჩატარდა; მეორე მოსამზადებელი ოთხი წლის შემდეგ - 2024 წლის 15 თებერვალს, ხოლო საქმის არსებითი განხილვა 2024 წლის 2 აპრილის სხდომაზე დაიწყო და შემდეგ გაურკვეველი ვადით კვალავ შეწყდა.

დასკვნა

ზემოაღწერილი ფაქტები და მოვლენები ნათლად წარმოაჩენს, რომ ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის დაგეგმვის, განხორციელებისა და დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილებები მიღებული იქნა კანონმდებლობით, პროცესში მონაწილე ინსტიტუციების პროცედურებითა და საუკეთესო პრაქტიკით დადგენილი წესების უხეში დარღვევით.

მიგვაჩნია, რომ პროექტის ირგვლივ წლების განმავლობაში დაშვებული და გამოვლენილი დარღვევები, და ასევე, პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მნიშვნელოვანი პრობლემები, პროექტის განხორციელებაზე უარის თქმის მყარ საფუძველს ქმნის.

³⁵ [“მწვანე ალტერნატივა, ლილე ჩხეტიანი და ნატო სუბარი ნენსკრა ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილ ცვლილებებზე სკრინინგის გადაწყვეტილების ბათილად ცნობას ითხოვენ”](#), სარჩელთან დაკავშირებული სრული ინფორმაცია

THE SIGRID RAUSING TRUST

THE SIGRID RAUSING TRUST




ნარკვევი მომზადებულია სადიაკვნოსა და მსოფლიოში პურის განვითარების პროტესტანტული სააგენტოს-პროტესტანტული განვითარების სამსახურის (Brot) მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის - „ენერჯეტიკის განვითარების პარადიგმის ცვლილება სამხრეთ კავკასიაში, II ფაზა“ - ფარგლებში.

ნარკვევის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია არ მწვანე ალტერნატივა და ის შესაძლებელია არ გამოხატავდეს სადიაკვნოსა და მსოფლიოში პურის განვითარების პროტესტანტული სააგენტოს-პროტესტანტული განვითარების სამსახურის (Brot) და The Sigrid Rausing Trust-ის შეხედულებებს.

ავტორი: ნინო გუჯარაიძე

ავტორი: ნინო გუჯარაიძე

© მწვანე ალტერნატივა, 2024



თბილისი, 0179,
ფალიაშვილის ქ. #39ბ, IV სართული
თბილისი, 0179,
ფალიაშვილის ქ. #39ბ, IV სართული
ტელ.: 222 38 74
GREENALT@GREENALT.ORG
WWW.GREENALT.ORG